

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო
ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა
(ფილიალი) საქართველოში

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია 4

2. მომზადების საფუძველი 4

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 4

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 8

5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 8

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 8

7. ძირითადი საშუალებები 9

8. საინვესტიციო ქონება 10

9. მარაგები 10

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 10

11. ფული და ფულის ექვივალენტები 11

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 11

13. საგადასახადო ვალდებულებები 11

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში
 მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023 (არააუდიტირებული)	2022 (არააუდიტირებული)
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	7,934,825	7,995,388
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(15,472,478)	(18,940,843)
სხვა წმინდა საოპერაციო შემოსავალი		147,289	22,060
სხვა საოპერაციო ხარჯი		-	(5,802,634)
საოპერაციო ზარალი		(7,390,364)	(16,726,029)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(51,200)	(73,065)
მოგება დაბეგვრამდე		(7,441,564)	(16,799,094)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(7,441,564)	(16,799,094)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 3 სექტემბერს:

მაჰირ მამედოვი
 დირექტორი

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023 (არააუდიტირებული)	2022 (არააუდიტირებული)
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	7,934,825	7,995,388
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(15,472,478)	(18,940,843)
სხვა წმინდა საოპერაციო შემოსავალი		147,289	22,060
სხვა საოპერაციო ხარჯი		-	(5,802,634)
საოპერაციო ზარალი		(7,390,364)	(16,726,029)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(51,200)	(73,065)
მოგება დაბეგვრამდე		(7,441,564)	(16,799,094)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(7,441,564)	(16,799,094)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 3 სექტემბერს:

✓ 
მკპირ მამმედოვი
დირექტორი

ა. 247  

4-11 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2022 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	4,117,422	1,054,138
საინვესტიციო ქონება	8	54,813,169	58,275,015
არამატერიალური აქტივები		2,695	3,706
სულ გრძელვადიანი აქტივები		58,933,286	59,332,859
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	3,543	88,008
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,177,876	279,653
წინასწარ გაწეული ხარჯები		26,189	92,687
ფული და ფულის ექვივალენტები	11	1,681,053	642,023
სულ მიმდინარე აქტივები		2,888,661	1,102,371
სულ აქტივები		61,821,947	60,435,230
საკუთარი კაპიტალი			
დაუფარავი ზარალი		(163,643,021)	(156,201,457)
სხვა რეზერვები და დაფინანსება		223,408,177	214,841,610
სულ კაპიტალი		59,765,156	58,640,153
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,704,518	1,182,259
საგადასახადო ვალდებულებები	13	352,273	612,818
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,056,791	1,795,077
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		61,821,947	60,435,230

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არაუდიტირებული)	სხვა რეზერვები და დაფინანსება	დაგროვილი ზარალი	ჯამი
31 დეკემბერი 2021	209,910,266	(139,778,882)	70,131,384
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(16,799,094)	(16,799,094)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები	-	376,519	376,519
კაპიტალის სხვა ცვლილებები	4,931,344	-	4,931,344
31 დეკემბერი 2022	214,841,610	(156,201,457)	58,640,153
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(7,441,564)	(7,441,564)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	8,566,567	-	8,566,567
31 დეკემბერი 2023	223,408,177	(163,643,021)	59,765,156

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში (შემდგომში „კომპანია“) არის უცხოური საწარმოს ფილიალი, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. იგი დაარსდა 2006 წლის 13 ნოემბერს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 202358625.

ძირითადი საქმიანობა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარ მფლობელობაში არსებული შენობის საკუთარ დედა კომპანიაზე იჯარით გაცემა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, 300 არაგველის ქ., №24.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე, როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს “აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია” ფლობს.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამოზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების
	ვადა
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-15
კომპიუტერული ტექნიკა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემები	3-10
მანქანა-დანადგარები	10-20
საოფისე და სხვა ინვენტარი	5-10

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ბუღალტრული პროგრამა	10 წელი

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შესარულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც

ექვემდებარება დღ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

კომპანიის შემოსავალი სრულად აკუმულირდება საინვესტიციო ქონების იჯარით გაცემით.

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ცვეთა და ამორტიზაცია	(3,847,355)	(6,060,165)
სტუდენტების დაფინანსების ხარჯი	(3,163,665)	(4,585,062)
დასუფთავების ხარჯები	(1,874,097)	(1,185,580)
დაცვის ხარჯები	(964,224)	(786,686)
მომსახურებების ხარჯი	(799,018)	(1,426,739)
შრომის ანაზღაურება	(784,392)	(928,327)
საიჯარო ქირა	(771,045)	(738,551)
საგადასახადო ხარჯი	(672,467)	(691,891)
კომუნალურის ხარჯი	(465,935)	(1,031,779)
კომუნიკაციის ხარჯები	(119,251)	(125,003)
რემონტის ხარჯები	(51,940)	(62,963)
საკანცელარიო ხარჯები	(17,873)	(45,342)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(13,276)	(9,286)
ბანკის საკომისიო	(414)	(1,877)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,927,526)	(1,261,592)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(15,472,478)	(18,940,843)

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	საოფისე და სხვა ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2021	5,528,100	5,902,389	6,792,621	3,909,599	154,000	22,286,709
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	88,721	62,034	-	-	150,755
გასვლა	(5,528,100)	-	(7,878)	(130,010)	-	(5,665,988)
31 დეკემბერი 2022	-	5,991,110	6,846,777	3,779,589	154,000	16,771,476
შემოსვლა წლის განმავლობაში	3,355,889	23,157	1,569	30,598	91,195	3,502,408
გასვლა	-	(41,002)	(2,497)	(21,186)	(109,000)	(173,685)
31 დეკემბერი 2023	3,355,889	5,973,265	6,845,849	3,789,001	136,195	20,100,199
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2021	-	(5,171,994)	(5,650,719)	(3,858,425)	(30,800)	(14,711,938)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(432,786)	(624,001)	(39,896)	(43,711)	(1,140,394)
გასვლები	-	-	4,984	130,010	-	134,994
31 დეკემბერი 2022	-	(5,604,780)	(6,269,736)	(3,768,311)	(74,511)	(15,717,338)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(125,130)	(218,936)	(11,116)	(29,314)	(384,496)
გასვლები	-	36,743	2,012	10,698	69,604	119,057
31 დეკემბერი 2023	-	(5,693,167)	(6,486,660)	(3,768,729)	(34,221)	(15,982,777)
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2022	-	386,330	577,041	11,278	79,489	1,054,138
31 დეკემბერი 2023	3,355,889	280,098	359,189	20,272	101,974	4,117,422

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობები	სულ საინვესტიციო ქონება
ისტორიული ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	8,196,885	86,546,187	94,743,072
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-
გასვლა წლის განმავლობაში	(2)	-	(2)
31 დეკემბერი 2022	8,196,883	86,546,187	94,743,070
შემოსვლა წლის განმავლობაში	1	-	1
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-
31 დეკემბერი 2023	8,196,884	86,546,187	94,743,071
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2021	-	(31,555,077)	(31,555,077)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(4,912,978)	(4,912,978)
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	(36,468,055)	(36,468,055)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(3,461,847)	(3,461,847)
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	(39,929,902)	(39,929,902)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2022	8,196,883	50,078,132	58,275,015
31 დეკემბერი 2023	8,196,884	46,616,285	54,813,169

9. მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	3,543	345
ნედლეული და მასალები	-	86,183
საქონელი	-	1,480
სულ მარაგები	3,543	88,008

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	1,127,406	278,871
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	50,470	782
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,177,876	279,653

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,286,836	362,431
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	394,217	279,592
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,681,053	642,023

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	1,481,556	1,182,259
მიღებული ავანსები	188,444	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	34,518	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,704,518	1,182,259

13. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.